ნავთობროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულება №01-24/125

ქ. ბათუმი 16 აგვისტო 2012 წელი

1. ერთის მხრივ, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"(შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ დიასამიძის სახით და, მეორეს მხრივ, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი ბათუმის სერვის–ცენტრის ხელმძღვანელის რამაზ ხინთიბიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი – ბენზინი რეგულარი (ოქტანობით არანაკლები 91, მინიმუმ ევრო 3) – „ევრო რეგულარი" და დიზელის საწვავი (PPM50 და მეტი) – „დიზელ ენერჯი" (CPV 09100000).

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: „ევრო რეგულარი"– 3800 (სამიათას რვაასი) ლიტრი, „დიზელ ენერჯი" – 800 (რვაასი) ლიტრი.

4. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით: საწვავის მოთხოვნის (აღნიშნული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ მიღების) დღისათვის მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში არსებულ შესაბამისი მარკის საწვავის ერთეულის (1 ლიტრის) ფასს გამოკლებული დისქაუნთი შემდეგი ოდენობით - 4 (ოთხი) თეთრი.

5.1 შემსყიდველის მიერ საწვავის სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა საკითხის სამართლებრივი დარეგულირება (თუ წინამდებარე გამარტივებული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული განსხვავებული დარეგულირება) განხორციელდება ნავთობროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსყიდველი ადასტურებს, რომ ის გაცნობილია და ეთანხმება ,,საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების" უკლებლივ ყველა პირობას.
5.2 საწვავის მიწოდება მოხდება სატალონო სისტემით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის შეკვეთების შესაბამისად (თითოეულ ეტაპზე დასაშვებია მიმწოდებლის არა უმეტეს 3 თვის მოხმარების საწვავის გატანა).
5.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველ ეტაპზე წინასწარ გადაუხადოს მიმწოდებელს საწვავის ღირებულება, მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა საწვავის შეძენის ნაწილში განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა უფლება-მოვალეობების ნაწილში - მათ სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ტალონების მიღების და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან არის სამეურნეო ნაწილის უფროსი ჯუმბერ აბაშიძე პ/ნ №61001002675 და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება სადავო გახდეს შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურიდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

„შემსყიდველი“: ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“, მისამართი: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა, ს/კოდი 445399391, სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE78BG0000000886744500.

დირექტორი---------- /როინ დიასამიძე/

„მიმწოდებელი“: ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74ბ, ს/კოდი: 202161098, ს/ს ,,თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE48TB1100000018467453.

ბათუმის სერვის–ცენტრის ხელმძღვანელი---------- /რამაზ ხინთიბიძე/

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 16.08.2012 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის'' მიერ ბენზინი რეგულარის (ოქტანობით არანაკლები 91, მინიმუმ ევრო 3) – „ევრო რეგულარი" და დიზელის საწვავის (PPM50 და მეტი) – „დიზელ ენერჯი" (CPV 09100000) შესყიდვის განხორციელებაში, ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" -ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის''

დირექტორი ჩოინ დიასამიძე